



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 49

2018 წლის 26 ივლისი
ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კორექტირებული სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების მე-14 მუხლის საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კორექტირებული სივრცითი მოწყობის გეგმა.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი



მალხაზ სალვარიძე